



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/20

ქ. თბილისი

21 მაისი 2018


სტუ-ის პროფესიული განვითარების ცენტრის მოდიფიცირებული დებულების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №01-05-04/10 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 21 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის პროფესიული განვითარების ცენტრის მოდიფიცირებული დებულება წარმოდგენილი სახით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი